საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N2

ბათუმი 15 იანვარი, 2026 წ.

ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრთა რაოდენობის
განსაზღვრისა და პერსონალური შემადგენლობის
დამტკიცების შესახებ

„ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის 12^2 მუხლის მე-2 პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 18 დეკემბრის N55-Iს დადგენილების მე-3 მუხლისა და ამავე დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს“ წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 13 (ცამეტი) წევრით, მათ შორის 6 (ექვსი) წევრი სათათბირო ხმის უფლებით.

2. დამტკიცდეს „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს“ (შემდგომში - საბჭო) შემდეგი პერსონალური შემადგენლობა:

ა) ფატი ხალვაში - უმაღლესი საბჭოს წევრი - საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) რამაზ ჯინჭარაძე - უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - საბჭოს წევრი;

გ) ლაშა სირაბიძე - უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - საბჭოს წევრი (უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანება N25, 22.07.2026 წელი);

დ) მარინე გვიანიძე - უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - საბჭოს წევრი;

ე) მინდია დიასამიძე - უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - საბჭოს წევრი;

ვ) ილია ვერძაძე - უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - საბჭოს წევრი;

ზ) ნინო ჩხეტია - უმაღლესი საბჭოს წევრი - საბჭოს წევრი;

თ) ჯაბა ფუტკარაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსის მოადგილე - საბჭოს წევრი (უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანება N8, 19.02.2026 წელი);

ი) ირმა აბულაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი;

კ) მარინა ზანაქიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე - საბჭოს წევრი;

ლ) ოთარ დიასამიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე - საბჭოს წევრი;

მ) თათია გორგილაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და სპორტის მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი;

ნ) ირმა აფხაზავა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი.

3. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, საბჭოს წევრებს. ბრძანება განთავსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.

4. ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის და საბჭოს წევრებისათვის დაგზავნა უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ, ხოლო უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბრძანების განთავსება უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა.

5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე